მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის ანგარიში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებით და ასევე დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერით. ბენეფიციარი დახმარებას იღებს თითოეული პროგრამის ფარგლებში ოდენობისა და მის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მიხედვით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. დახმარების თანხა ირიცხება მოსარგების პირად ანგარიშზე ან პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტებზე, რომელმაც მომსახურება გაუწია ბენეფიციარს.

2019 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 819.7 ათასი ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 763.862 ათასი ლარი, რაც გეგმის 93,2 %-ია. ამ ხარჯებიდან ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვას მოხმარდა 167.100 ათასი ლარი, ანუ პროგრამით გათვალისწინებული 98.5 %-ი. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 47-მა მრავალშვილნმა ოჯახმა, დედ-მამით ობოლი ბავშვის 3 ოჯახმა ფენილკეტონურიით დაავადებულმა 4 ბენეფიციარმა, ჰემოფიციით დაავადებულ 3 პირმა, კომუნალური დახმარებით 18 წლმადე ასაკის შშმ პირთა 55 ოჯახმა. 2019 წელში პროგრამის ფარგლებში 102 ახალშობილმა ოჯახმა მიიღო 20 400 ლარის დახმარება. ხანდაზმულმა სამმა მოქალაქემ 900 ლარი და განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე 4 ბენეფიციარს გაეწია 4800 ლარის დახმარება.

გასული წლის პერიოდში ბენეფიციარებს სტაციონარულ სამედიცინო მომსახურების თანადფინანსებისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის გაწეული იქნა 311.577 ათასი ლარის დახმარება, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 87.8%-ს შეადგენს. ონკოდაავადებულმა 121 მოქალაქემ მიიღო 41 700 ლარის დახმარება, მოთხოვნის შესაბამისად მოთხოვნის შესაბამისად დაფინანსდა 0-დან 18 წლამდე ასაკის გულის თანდაყოლილი პათოლოგიით და ეპილეფსიით დაავადებული ბენეფიციარის მომსახურებისათვის თანხა გადაერიცხა შესაბამის მომსახურე დაწესებულებას. პროგრამის ფარგლებში დროულად მიიღო დახმარება ფენილკეტონურიითა და თირკმლის უკმარისობით დაავადებული ბენეფიციარებმა, რომლებსაც პირად ანგარიშზე ერიცხება ყოველთვიურად 140 ლარი. ხარჯმა

კი შეადგინა 20 160 ათასი ლარი. დაცული იყო ყოველთვიური ფულადი დახმარებების ჩარიცხვის ვადები. ასევე ერთჯერადი ფულადი დახმარება მიიღო მძიმე საცხოვრებელი და ეკონომიკურ პირობებში მყოფი და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულმა 91 ოჯახმა 153 7 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამის შესაბამისად დახმარება გაეწია საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დარუპულთა ოჯახებს. ამ მიზნით გაწეული იქნა 20 127 ლარის ხარჯი, რაც დაზუსტებული გეგმის 82.5 %-ია. ერთჯერადი ფულადი დახმარებით ისარგებლა იძულებით გადაადგილებულმა 14 ბენეფიციარმა, რომლებსაც ჩარეიცხა 1 400 ლარი. სუბსიდიის მუხლიდან დაფინანსდა ა(ა)იპ განათლების ,,დღის ცენტრი“ 13000 ლარი და ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 60 090 ლარი.

ასევე გაწეული იქნა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშემწყობი ღონისძიებებ, ამ მხრივ ხარჯმა შეადგინა 11 400 ლარი, კერძოდ: დახმარება მიიღო ძალადობის მსხვერპლმა 2 ბენეფიციარმა 1300 ლარი, სამმა ბავშვმა სმედიცინო მომსახურების 400 ლარი. ამ მუხლიდან დაფინანსდა აგრეთვე მეწარმე ქალი 1500 ლარის ოდენობით, როგორც პროექტში გამარჯვებულმა მეწარმემ.

გარდა ზემოთ აღნიშნულია სამსახური ჩართული იყო სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ პროგრამებში. შესწავლილი იქნა 67 ოჯახის საცხოვრებელი საყოფაცხოვრებო პირობები და მომზადდა მასალები მათი შესაძლო ერთჯერადი ფულადი დახმარების თაობაზე.